სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას ოცი წლის თორმეტ თებერვალს, მე, ნოტარიუს ინგა ხარძიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისში, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6, პირველ სართულზე, მომმართა **გიორგი კაჭარავამ**. მან განაცხადა, რომ არის **შპს „რემბჯ რეალ ისთეით მენეჯმენტ ბიზნეს გრუპ“-ის** (ს/კ 405326320) დირექტორი და საზოგადოების სახელით მოითხოვა **ირაკლი მაზიაშვილისათვის** (დაბ. 01.05.1986წ. თბილისში, პირადი #01024037393, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი #15, ბინა 16) შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების გადაცემის აქტის (მინდობილობის) შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით: **გიორგი კაჭარავა** - დაბ. 04.08.1971წ. ოზურგეთში, პირადი #01008008929, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი მთაწმინდის შეს. 7ა ბ. 14. მე შევამოწმე გიორგი კაჭარავას უფლებამოსილება, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შპს „რემბჯ რეალ ისთეით მენეჯმენტ ბიზნეს გრუპ“-ის შესახებ, საიდენტიფიკაციო ნომერი 405326320, განაცხადის რეგისტრაციის №B19049622, ამონაწერის მომზადების თარიღი: 01/05/2019წ. იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დიდი დიღომის დასახლება, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 2, ბინა 44, ელ. ფოსტა: rembgroup@gmail.com, შპს „რემბჯ რეალ ისთეით მენეჯმენტ ბიზნეს გრუპ“-ის წესდება წარმოდგენილია სამეწარმეო რეესტრის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე და განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი სრულიად შეესაბამება მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცი წლის თორმეტ თებერვალს, ამ მინდობილობით **გიორგი კაჭარავამ**, როგორც **შპს „რემბჯ რეალ ისთეით მენეჯმენტ ბიზნეს გრუპ“-ის** (ს/კ 405326320) დირექტორმა, რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც “მიმნდობი”, საზოგადოების სახელით **ირაკლი მაზიაშვილს**, რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც “მინდობილი”, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად მინდობილი უფლებამოსილია იყოს მიმნდობის წარმომადგენელი საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, საქართველოს გამგეობებში, მერიაში და მის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, არქიტექტურის სამსახურში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოში, მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, დაგეგმარებისა და ზედამხედველობის სამსახურში, ინფრასტრუქტურის, მუნიციპალური ინსპექციის სამსახურებში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის სამსახურში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო სამსახურში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ასევე საპროექტოში, წარადგინოს და/ან მიიღოს ნებართვა, შეცვალოს და/ან შეიტანოს კორექტირება პროექტში, შეათანხმოს პროექტი და აიღოს მშენებლობის ნებართვა შესაბამისი სამსახურებიდან, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტებს, ნებართვებს და/ან თანხმობებს, მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი და სხვა სავალდებულო გადასახადები, შეკრიბოს, წარადგინოს და/ან მიიღოს (გამოითხოვოს) ყველა საჭირო ცნობები, დოკუმენტები, ინფორმაცია, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტებს შპს „რემბჯ რეალ ისთეით მენეჯმენტ ბიზნეს გრუპ“-ის სახელით და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.
2. მინდობილობა გაცემულია ხუთი თვის ვადით და ძალაშია ორიათას ოცი წლის თორმეტი ივლისის ჩათვლით. მიმნდობი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს ზემოაღნიშნული მინდობილობა.
3. მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში. მინდობილობის იმ ეგზემპლიარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის დანართი შემდეგი დოკუმენტი:
I. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან (იხ. სანოტარო ბიუროს არქივში 26.12.2019წ).
4. გადახდილია სანოტარო საზღაური თანახმად 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება №507, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების, დამტკიცების შესახებ დადგენილების 31-ე მუხლისა 10 (ათი) ლარი (აგრეთვე დ.ღ.გ 1.80 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახდო კოდექსის 169-ე მუხლისა) და 39-ე მუხლისა რეგისტრაციის საფასური [illegible] ლარი (დ.ღ.გ ჩათვლით), სულ გადახდილია 13.80 ლარი (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი).

მიმნდობი _____

ნოტარიუსი /ინგა ხარძიანი/

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

50899403133220

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200147810

რეგისტრაციის თარიღი

12.02.2020 წ

ნოტარიუსი: ინგა ხარძიანი
მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6, პირველი სართული
ტელეფონი: 2308930; მაგთი ფიქსი: 790761651; მობ: 599502834;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18